საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-71/ნ
2017 წლის 21 დეკემბერი

ქ. თბილისი

„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 15/01/2015; 470230000.22.035.016315) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. **ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეები და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები) მე-2 მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„6. ყველა დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების პერსონალი (მეან-გინეკოლოგი, ნეონატოლოგი) ვალდებულია, 2 წელიწადში ერთხელ აიმაღლოს ცოდნა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში მონაწილეობის საშუალებით (უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები აკრედიტებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით). ამასთან:

ა) ნეონატოლოგები უნდა მონაწილეობდნენ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა.ა) მაღალი რისკის ახალშობილთა მართვა (მ.შ. რისკს-ჯგუფის ახალშობილთა, ძირითადი ნეონატალური პათოლოგიების დროული იდენტიფიცირება, ადრეული ინტერვენცია, წინასატრანსპორტო სტაბილიზაცია, სამშობიარო ბლოკში პირველადი დახმარება/ახალშობილის რეანიმაცია);

ა.ბ) კრიტიკულ ახალშობილთა მართვის თანამედროვე პრინციპები (მხოლოდ სუბსპეციალიზებული (III) დონის სერვისის მიმწოდებელი სუბიექტების შემთხვევაში).

ბ) მეან-გინეკოლოგები უნდა მონაწილეობდნენ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ბ.ა) ნაყოფის ფუნქციური მდგომარეობის ინტრანატალური შეფასება;

ბ.ბ) სამშობიარო ბლოკ-პალატაში ლოგინობის ხანაში ადრეული სისხლდენის განვითარების პრევენცია, დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

ბ.გ) ანტენატალური ზედამხედველობა.“.

2. **ბრძანების №1.2 დანართის (პერინატალური სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის მოცულობა და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები):**

ა) პირველი მუხლის:

ა.ა) **მე-2 პუნქტს დაემატოს „ზ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ზ) დაწესებულების ნეონატოლოგ(ებ)ი და მეან-გინეკოლოგ(ებ)ი მონაწილეობენ უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ამ ბრძანების №1 დანართის მე-2 მუხლს მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით.“;

ა.ბ) **5^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5^2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„5^2. დაწესებულება ვალდებულია, მკვდრადშობადობის შემთხვევაში უზრუნველყოს დედების კვლევა სიფილისზე (სეროლოგიური ტესტები სიფილისზე – RPR/VDRL).“.

ბ) **მე-2 მუხლის:**

ბ.ა) **მე-2 პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ე) დაწესებულების ნეონატოლოგები და მეან-გინეკოლოგები მონაწილეობენ უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ამ ბრძანების №1 დანართის მე-2 მუხლს მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით.“;

ბ.ბ) **5^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5^2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„5^2. დაწესებულება ვალდებულია, მკვდრადშობადობის შემთხვევაში უზრუნველყოს დედების კვლევა სიფილისზე (სეროლოგიური ტესტები სიფილისზე -– RPR/VDRL).“;

გ) **მე-3 მუხლის:**

გ.ა) **მე-2 პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ე) დაწესებულების ნეონატოლოგები და მეან-გინეკოლოგები მონაწილეობენ უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ამ ბრძანების №1 დანართის მე-2 მუხლს მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით.“;

გ.ბ) **5^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5^2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„5^2. დაწესებულება ვალდებულია, მკვდრადშობადობის შემთხვევაში უზრუნველყოს დედების კვლევა სიფილისზე (სეროლოგიური ტესტები სიფილისზე – RPR/VDRL).“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ზაზა სოფრომაძე**